მობილობის წესით 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან მობილობის მსურველმა კანდიდატებმა:

ა) უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე https://students.eqe.ge/;

ბ) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის წესით შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში“ მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხვის უფლებას 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაცია უნდა გაიაროს 2022 წლის 8 თებერვლის ჩათვლით 18:00 საათამდე

2. შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაციისათვის მობილობის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) განცხადება რექტორის სახელზე (განცხადება ივსება ადგილზე); ბ) ამონაწერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან; გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი); დ)გავლილი საგნების სილაბუსები (უნივერსიტეტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში); ე) ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით); ვ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი; ზ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის ასლი; თ) 4 (ოთხი) ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია, ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკი); ი) გრანტის არსებობის შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება გრანტისა და სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ ინფორმაცია; კ) ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით.

მობილობის კანდიდატთათვის გაცნობა და თანხმობის შესახებ წერილობითი დასტურის მიღება განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 12 თებერვლის ჩათვლით 12:00 საათიდან 18:00 სთ-მდე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით.